

ორნამენტის კატეგორიები და ძალაუფლება

ეკატერინე ბაღდაძე

საკვანძო სიტყვები: *ორნამენტის თეორია, გოტფრიდ ზემპერი, პრაქტიკული ესთეტიკა, არქიტექტურის თეორია, მოხარჩობა, პარერგონი, ერნსტ გომბრიხი, ჟაკ დერიდა, მიზანბიძი, ეკონომიკისი, იმანუელ კანტი, ხელოვნების ისტორიის კვლევითი მეთოდების მეტათეორია, ხელოვნებათმცოდნეობის ისტორია და ფილოსოფია*

ნაშრომის მიზანია, ორნამენტის თეორიის ტრილში განვიხილოთ, თუ როგორ ხდება ძალაუფლებისადმი დამოკიდებულების გამოვლენა სხვადასხვა ეპოქის ხელოვნების ნიმუშებში. თეორიული ნაწილი ეძღვნება ორნამენტის თეორეტიკოსის გ. ზემპერის, ხელოვნებათმცოდნე ე. გომბრიხის და ფილოსოფოსის ჟ. დერიდას ორნამენტის თეორიების გააზრების ფონზე ორნამენტის კატეგორიებისა და მათი გამოყენების შესაძლებლობის განხილვას კონკრეტული ნამუშევრების ანალიზის დროს.

ორნამენტის კატეგორიები უნივერსალურია, ყველა ეპოქაში ხელოვნების ნებისმიერ დარგში მოქმედებს და გარკვეულწილად ასახავს ხელოვანის, საზოგადოების, ეპოქის ძალაუფლებისადმი დამოკიდებულებას, რაც კარგად ჩანს მოდერნული და თანამედროვე ხელოვნების ნიმუშების ანალიზის შედეგადაც (პეტრე ოცხელი, დავით კაკაბაძე, პ. მოენიგი). მიუხედავად ამისა, რეგლამენტის გამო ჩვენი მოხსენება თეორიულ ნაწილით შემოიფარგლება, რომელიც განიხილავს ორნამენტის კატეგორიების ძალაუფლების თემასთან მიმართებას, კერძოდ როგორც ძალაუფლების დეკონსტრუქციისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებად.

კულტურაში ორნამენტთან დაკავშირებული კითხვების გამოჩენა შემთხვევითი როდია. ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ორნამენტთან დაკავშირებული საკითხების პერიოდული ამოტივტივება, ერთი მხრივ, ფუნდამენტალური სტრუქტურული ცვლილებების პირდაპირი ინდიკატორია, კულტურაში კრიზისის და დიდი გარდატეხის მაჩვენებელია, ხოლო მეორე მხრივ, XIX საუკუნეში აღმოცენებულ ორნამენტის თეორიასთან და მოდერნიზმის პარადიგმასთანაა მჭიდრო კავშირში. სწორედამც რადიკალური კულტურული გადატრიალებების დროს აღმოცენდება ხოლმე ზედაპირზე ორნამენტთან დაკავშირებული საკითხები. მოდერნიზმის კონცეპტუალური ორიენტაცია ორნამენტზე და ამ ცვალებადი კულტურის „ძალის ველში“ ორნამენტის რეკონცეპტუალიზაცია ხდება. ორნამენტი, როგორც კულტურაში კრიზისის და გარდატეხის ინდიკატორი, კულტურული კონტექსტის განმსაზღვრელ ძალაუფლების სტრუქტურებთან პირდაპირ გვაკავშირებს. ჩვენი მიზანია, XIX საუკუნეში

ნაწილში აღმოცენებული ორნამენტის თეორიის ტრილში განვიხილოთ, თუ როგორ ხდება ძალაუფლებისადმი დამოკიდებულების გამოვლენა სხვადასხვა ეპოქის ხელოვნების ნიმუშებში. ამ მიზნის მისაღწევად, ორნამენტის თეორიაში განხილულ ორნამენტის ზოგად თვისებებს მხატვრული ანალიზისთვის მნიშვნელოვან სამეცნიერო საშუალებად წარმოვაჩინოთ – ზოგად კატეგორიებად განვიხილავთ.

გოტფრიდ ზემპერის ორნამენტის თეორია: მასალის იმანენტური ლოგიკა

რა არის ორნამენტი? „ორნამენტი არის ის ენა, რომლის საშუალებითაც არქიტექტურა უფრო ფართო საზოგადოებას მიმართავს“.¹ ოლონდ არა მხოლოდ არქიტექტურა, არამედ შემოქმედების ნებისმიერი ფორმა, რადგან ორნამენტის თვისებების და კატეგორიების წარმოშობა წმინდა შემოქმედებით

1 Heathcote, Architectural Review, 2015.

პროცესს უკავშირდება (ამ პროცესის აღმოცენების მასალაში განხორციელებას). სწორედ ორნამენტის შექმნის/ქმნადობის პროცესში მოპოვებული თვისებების თუ კატეგორიების აღმოჩენა ნებისმიერი დარგის (მათ შორის ფერწერის, თუნდაც ტრანსმედიალური ხელოვნების) არტეფაქტებშია შესაძლებელი.

გ. ზემპერი (რომელმაც პირველად დააკავშირა ორნამენტი მის მასალასთან და მასალის მუშაობის სპეციფიკურ პირობებთან) არქიტექტურას განიხილავს, როგორც ყველაზე უძველეს მედიუმს, რომლის სივრცისეული გამოცდილების პროტოტიპად სწორედ ადამიანის სხეულს მოიაზრებს. ამ კონტექსტში, ზემპერის აზრით, ორნამენტი, როგორც შემოქმედების, ხელოვნების პრიმორდიალური ფორმა ტატუს სახით ჩნდება. ტატუ პირველადი ინსკრიფციაა, რომელიც სხეულის ბუნებრივ კანონებთან და გეოგრაფიულ გარემოსთან თანაგანცდაში იქმნება (კოსმოგონურია; აქ სემიოზისურ-მიმემზისური პროცესები ჯერ არ განიცდიან ფრაგმენტაციას). სხეულის ზედაპირი, კანი პრიმორდიალური შემოქმედებითი ნიადაგია, რომლის შემოსვაც ინსკრიფციულ დასაბამთან გვაკავშირებს, ნიშანთა სისტემის შექმნასთან – სემიოზისის პროცესის აღმოცენებასთან. ტატუ სხეულის ნიადაგზე გამოსახული ტემპორალობის, ეპოქის, პარადიგმა/სინტაგმების პირველად ფორმას წარმოადგენს – კონვენციურ კონტექსტს განსაზღვრავს (მაგ., ადოლფ ლუსი ტატუს ფენომენს და ზოგადად ორნამენტს კრიმინალურობას უკავშირებს). ანთროპოლოგიურ/ტექნოლოგიური განვითარების ფონზე ტატუ ბუნებრივი ნიადაგიდან ქსოვილში განიცდის ტრანსლაციას/ტრანზიციას და სხეულზე მოხაზული ორნამენტი ბუნებრივი კანონიდან ტექნოლოგიად დაფად, ნართად იქცევა. ნართის დახვევა კი ანთროპო/ტექნოლოგიური თუ მეტაფორული გადმოსახედიდან სწორედ კულტურული კონტექსტის შექმნას უკავშირდება. მაგ., ძვ. ინგლისური გამოთქმა ნართი დაახვიეო სწორედ ისტორიის მოყოლაზე მიანიშნებს. ამ კონტექსტში, ორნამენტი ტექსტუალურ ბუნებას იძენს და საბოლოოდ ჰიპერტექსტუალურიც ხდება (სიტყვა ტექსტის ეტიმოლოგიაც ტექსტილის, ქსოვილის შექ-

მნას უკავშირდება). ანუ ორნამენტი ტოვებს კოსმოცენტრულ ნიადაგს და სივრცის მაორგანიზირებელი თვითონ ხდება, რადგან თვითონ ქსოვს ნიადაგს – საზღვრავს, ჩარჩოს ქმნის. ზემპერის მიხედვით, საბოლოოდ, ქსოვილი ევენტუალურად არქიტექტურულ სტრუქტურებში მყარდება კედლის (შემოკედვლის, კედლის ჩარჩოს) სახით. სივრცის მოჩარჩოებას – კედელი უზრუნველყოფს (მაგ., უძველეს ტომებში ვხედავთ თუ როგორ უზრუნველყოფს ღობე და გალავანი სივრცის დანაწევრებას). ამიტომაც ქსოვდნენ მცენარეული მასალისგან კედლებს, რათა ვერტიკალურად ჩამოკიდებული ჭილობები გაემყარებინათ.²

ზემპერის კვლევის მიხედვით, არქიტექტურის პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი კერა, რომელიც ე.წ. „არქიტექტურის მორალურ ელემენტს“ განასახიერებს (ერთგვარ პრიმორდიალურ საკურთხეველს). ამიტომაც ცდილობდა უძველესი ადამიანი, რომ კერის ცეცხლი არასდროს ჩამქრალიყო. ცეცხლის გარშემო იქმნებოდა პირველი დაჯგუფებები, უძველესი ალიანსები, შეთანხმებები, ოჯახური შეკრებები და ა.შ. კერა საკრალურ ფოკუსს ქმნიდა, ცენტრს, რომლის გარშემოც ფორმირდებოდა და წესრიგდებოდა მთლიანობა, ყველაფერი (ერთგვარ მონადურ სისტემას ქმნიდა). ამ მოწესრიგებას კი უზრუნველყოფს არქიტექტურის შემდეგი ფუნდამენტური ელემენტი, კერძოდ „მოჩარჩოება/კედელი“ (Gehege, enclosure), რომელიც ყველა დანარჩენ ელემენტს წარმოშობს (ბორცვი/ტერასა, გადახურვა/სახურავი).³ ამ კონტექსტში ორნამენტთან დაკავშირებული საკვანძო სიტყვა სწორედაც „მოწესრიგებაა“, რომელიც ორნამენტის ეტიმოლოგიას და მის წარმოშობას უკავშირდება. ტატუს სხეულისგან ქსოვილში ტრანზიციას/ტრანსლაციას ტექნოლოგიის გენეზისის და მისი განვითარების ფონზე მომდინარე ორნამენტის და სამოსელის თეორიას ხსნის. ამიტომაც შესაძლებელია „სამოსელის, მოდის სისტემის“ ფონზე განვიხილოთ ეპოქის პარადიგმატული და სინტაგმატური ელემენტები – კულტურულ კონტექსტზე, მსოფლმხედველობაზე გავიდეთ (როლანდ ბარტი).⁴ სწორედაც ე. გომბრიხი განიხილავს ორნამენტს როგორც წესრიგის

2 Semper, Elements, 1989, გვ. 101-128.

3 იქვე, გვ. 102-103.

4 მაგ., როლანდ ბარტის „სამოსელის სისტემის“ ანალიზის ფონზე გამოვლენილი სემიოლოგიის ისტორია (Système de la mode. France, 1967).

აპრიორულ განცდას. წესრიგი, რომელიც ადამიანის სხეულის ბუნებრივი კანონებიდან (ტატუ) ქსოვილში განიცდის ტრანზიციას და ამით ორნამენტს ტექნოლოგიურ განვითარებაში რთავს – თვით ტექნოლოგიად აქცევს მას.

**ერნსტ გომბრიხის ორნამენტის თეორია:
ძალის ველი და წესრიგის განცდა**

სიტყვა წესრიგი (order) ორნამენტის ეტიმოლოგიას აგებს, რომლის ფესვიც ლათინურ ordo-შია, რაც ნიშნავს რიგს, ხაზს, რანგს, სერიას, განლაგებას, პატერნს, რუტინას. ordo-ს პირვანდელი მნიშვნელობა გულისხმობდა „ძაფების რიგს“, კერძოდ საქსოვ დაზგაზე (ქართ. ყდაზე) აგებულს (მაგ., ლათ. ordiri ქსოვის დაწყებას მიუთითებს). ordo მომდინარეობს პროტო-იტალიკური წყარო ordn-დან, რაც წესრიგს ნიშნავს, ხოლო ძველ ფრანგული ordre წესს, პოზიციას, ქონებას, რეგულაციას, რელიგიურ დისციპლინას. ინგლისურად order წესრიგთან ერთად ბრძანებასაც აღნიშნავს. ანუ წესი ბარიერს, ჩარჩოს ქმნის, კანონს აწესებს.⁵

ე. გომბრიხის ორნამენტის თეორიის მიხედვით, წესრიგის განცდა (The Sense of Order) ადამიანის თანდაყოლილი, აპრიორი მოცემულობაა, რომელიც აყალიბებს წესრიგს, რომელიც ჩვევად იქცევა და სტატუს კვოდ სტრუქტურირდება. ანუ ეპოქის ჩვევების გამხსნელ წინაპირობას განსაზღვრავს. მისი აზრით, ორნამენტი ძაფზე აკინძული ბისერებიდან წიგნის გვერდის განლაგებამდე, მოძრაობის რიტმის, მეტყველების

და მუსიკის მიღმა საზოგადოების სტრუქტურებსა და აზროვნების სისტემებამდე აღწევს. ე. გომბრიხის მიხედვით, ჩვევა წესრიგის ტემპორალური შეგრძნებაა. ანალოგიურად, მაგ., კოლონა/სვეტის კანელურა წესრიგის სივრცისეული შეგრძნებაა. გომბრიხის ორნამენტის თეორია, რომელიც აღქმის ფსიქოლოგიას ეყრდნობა, წესრიგის აპრიორი შეგრძნებიდან გამომდინარეობს.⁶ სწორედ წესრიგის თანდაყოლილი შეგრძნებიდან იხადება ჩვევა. ორნამენტთან დაკავშირებით, გომბრიხი გვთავაზობს ე.წ. „ძალის ველის“ („a field of force“) კონცეფციას. „ძალის ველი“ ისეთი წყობაა, რომელიც ცენტრის გარშემო განლაგებული (კერის მსგავსად), ორნამენტული მოჩარჩოება (დეკორატიური საზღვარი, ბარიერი) გააჩნია და ორ ეფექტს ქმნის: ვიზუალურის ცენტრალურ და პერიფერიულ თვისებებს გამოყოფს. ცენტრალური მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას, ხოლო პერიფერიული პატერნულ პროცესებზე.⁷ გომბრიხის წესრიგის შეგრძნება ეფუძნება კარლ პოპერის სამეცნიერო „გამოძიების“ (inquiry) ანალიზს (მან ჯერ ცხოველებსა და ბავშვებში, შემდგომ კი ზრდასრულებშიც შენიშნა „წესრიგის, რეგულაციის განცდის უზომოდ ძლიერი მოთხოვნილება, რაც მათ აიძულებთ წესრიგის ძიებას“).⁸ კ. პოპერის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ წესრიგი ასეთი ძვირფასია, ასევე ძვირფასია უწესრიგობაც და სწორედ აქ იქმნება საინტერესო პარადოქსი ორნამენტის თეორიაში. წესრიგის თანდაყოლილი ძლიერი მოთხოვნილება ბუნებრივად იზიდავს საპირისპიროს. უწესრიგობა უარყოფით (დისკონფირმაციულ) ჰიპოთეზას გვთავაზობს,

5 მაგ., ვატკინსის მიხედვით, სიტყვა ordo-ს პროტო-ინდოევროპული ფესვი ar- შია, რაც მორგებას (შვენას) ნიშნავს და რომლისგანაც იგება სიტყვა art. <https://www.etymonline.com/word/order>

6 შეიძლება ითქვას, რომ გომბრიხის ორნამენტის თეორია აღქმის ზოგადი თეორიაა, რომელიც წესრიგის თანდაყოლილი შეგრძნების კონცეფციიდან მომდინარეობს. გომბრიხი ცდილობს ბუნების პერცეფცია და ორნამენტის პერცეფცია ვიზუალური პერცეფციის ზოგადი თეორიის ქვეშ გააერთიანოს, რათა მოხსნას თვით აღქმაში მოცემული პირობითი კონტექსტის და გარეგნული პატერნის სიმულტანური აღქმის შედეგად გამოწვეული დაძაბულობა. Gombrich, Order, 1979, გვ. 152.

7 გომბრიხის მიხედვით: „ჩარჩო, თუ ბარიერი, საზღვრავს ძალის ველს, საკუთარი მნიშვნელობის გრადაციებით, რომლებიც ცენტრისკენ ივრცობიან. ორგანიზაციისკენ მიზიდულობის ეს შეგრძნება ისეთი ძლიერია, რომ სათანადოდ არ ვაფასებთ, რომ პატერნული ელემენტები საერთო ცენტრისკენ არიან ორიენტირებულნი. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, ძალის ველი საკუთარ გრავიტაციულ ველს ქმნის“. Gombrich, Order, 1979, გვ. 157.

8 კ. პოპერის „გამოძიების“ კონცეფციაში, არა მხოლოდ წესრიგის ძიება არამედ წესრიგის სავარაუდო პროცესიც კი აგებს, აწარმოებს ადამიანის გაგებას, რომელშიც მარტივი მოწესრიგებები ჰიპოტეზირებულია იქამდე, სანამ შემდგომი გამოცდილება არ უარყოფს (დისკონფირმირებს) მათ. გომბრიხის თეორიაში პოპერის კონცეფციის ადაპტაცია პოპერის ინტელექტუალური „ძიების“ პერცეპტუალური დონის ხაზგასმით ხორციელდება. Gombrich, Order, 1979, გვ. 1.

რომელიც ძლიერ ინფორმაციას იძლევა, გვამცნობს სტატუს კვლავ სტრუქტურირებულ წესრიგში განვითარებულ სტაგნაციებზე, არაპროგრესულ მოძველებულ სისტემებზე. წესრიგის კონფირმაციული ბუნება კი ინფორმაციას არ იძლევა, რადგან ის უფლებას იძლევა, რომ გაატაროს ჰიპოთეზა, რომელიც მოგვიანებით შეიძლება მცდარი აღმოჩნდეს. ორნამენტის აუტოდესტრუქციული ბუნება, ერთდროულად წრიული წესრიგის და წყვილიადური უსაზღვრობის, ანუ კანონის ზღვარს გასული განვრცობა (და არა კანონ-ზომიერება), თვით წესრიგის (ორნამენტის იდენტობის) აუტოდესტრუქციას უზრუნველყოფს. პოპერის მიხედვით, წესრიგის დარღვევა უნდა ვიძიოთ, ჰიპოთეზა რისკის ქვეშ უნდა დავაყენოთ და დავაკვირდეთ მის განვითარებას.⁹

გ. გომბრიხის მიერ ორნამენტის ბუნებაში აღნიშნული კონტრადიქციულობა ორნამენტის დერიდიანულ გააზრებასთან რეზონირებს და საინტერესო პარალელებიც ვლინდება.

იმანუელ კანტის პარერგას ცნება და ორნამენტის დერიდიანული გააზრება

დერიდას ორნამენტის თეორია ი. კანტის პარერგონის კონცეფციას ეყრდნობა, რაც ძირითადი ნაშრომის (ე.ი. ერგონის) დანართს, ჩარჩოს ნიშნავს.¹⁰

კანტის პარერგას ცნებაში იხსნება კოლონადური და უსასრულო მოჩარჩოების თემაც. კანტი განიხილავს სვეტნარს, როგორც პარერგას, რომლის ფონზეც კოლონა/სვეტის არქექტივი ორნამენტის დეკონსტრუქციისთვის მნიშვნელოვან კატეგორიად იქცევა უ. დერიდას პარერგონის თეორიაში.¹¹

კანტის პარერგას ცნებაში ჩარჩოსა და ჩარჩოში მოუქცევადის დიალექტიკა იშლება, კერძოდ მშვენიერის და აღმატებულის შედარებითი ანალიზის ფონ-

ზე. კანტი განიხილავს მშვენიერს, როგორც საკუთარ კონტურში მოქცეულს/განსაზღვრულს, ხოლო აღმატებულს – მოჩარჩოებულ ფორმაში ჩაუტეველს/განუსაზღვრელს. კანტი თვით ნედლ ბუნებაში პოულობს მშვენიერზე აღმატებულს (Sublime). ხოლო, როგორც დერიდა აღნიშნავს, აღმატებულობა ხელოვნებაში მხოლოდ მაშინ განიცდება, როდესაც ხელოვნება ორგანულ სამყაროსთან თანაგანცდის პირობებშია შექმნილი (მაგ., კოსმოცენტრული ნიადაგის ფონზე).¹²

სწორედაც კანტის მშვენიერის და აღმატებულის ფონზე იხსნება კოლონა-კოლოსის დიალექტიკაც. ამ კონტექსტში როდოსის კოლოსი ზოგად ფორმად გარდაიქმნება, როგორც რაღაცაზე ბუნებრივად კოლოსალური, მომაკვდავ ადამიანს, რომ აღემატება. დერიდას მიხედვით, კოლოსი საკუთარ თავს უსასრულოდ აღმართავს/ავრცობს (surélévation, superélévation), ანუ საკუთარი თავის გაარავების გაზვიადებულ მოძრაობას ასახავს, რომელსაც უნდა აღემატოს. სწორედ ამ გამოუხატავ გამოხატულებაში ვლინდება წყვილიადური უხამსომა. დერიდა პარერგონის, როგორც ბარიერის, უსასრულო მოჩარჩოების თემას ჰეგელიანურ წრიული დეტერმინიზმის (შემოსაზღვრულობის) და ჰაიდეგერიანულ არადეტერმინისტული (წყვილიადური) განვრცობის (კერძოდ მიზანაბიზმის) ფორმების ურთიერთმიმართების ტრილში ხსნის. წრე, როგორც შემოსაზღვრულობა, და წყვილიადი (უკიდევანობა), როგორც შემოსაზღვრავი/შემოუწერიელი. ამიტომაც, უ. დერიდა ორნამენტის კანტიანურ კატეგორიებთან ერთად („ჩარჩო/ბარიერი“, სვეტნარი, როგორც მოჩარჩოება, „მოჩარჩოების კოლონადური განვრცობა“), განიხილავს მიზანაბიზმის (mise en abyme, mise-en-abyme) ცნებას.¹³ მიზანაბიმი ტრანსგენერაციული და ტრანსმედიალური ფორმალური ტექნიკაა, რომელიც ხელოვნების ნებისმიერ დარგში გვხვდება. ტერმინი „მიზანაბიმი“ ჰერალდიკიდან მოდის და ნიშნავს „წყვილიადში მოქცეულს“. მაგ., მიზანა-

9 იქვე, გვ. 9.

10 დერიდას ორნამენტის თეორია კანტის პარერგას ცნების რეინტერპრეტაციას გულისხმობს.

11 ი. კანტი პარერგონს ტრადიციული მედიუმების ტრილში განიხილავს. მის მიხედვით პარერგონი ერგონის მიღმიერს წარმოადგენს: შენობებზე გამოსახულ სვეტებს, ქანდაკებებზე სამოსელს, ნახატების ჩარჩოებს. კანტის მიხედვით, თუ ორნამენტი ერგონის მშვენიერ ფორმაში არ იღებს მონაწილეობას და მხოლოდ „მოოქროვილი ჩარჩოს“ ფუნქციას ასრულებს, მაშინ ის დეკორაციაა. Kant, Kritik, 1922. გვ. 65.

12 Derrida, Truth, 1987, გვ. 127.

13 იქვე, გვ. 27, 117.

ბიმი ისტორია ისტორიაში, სიზმარი სიზმარში, ფილმი ფილმში, ნაკერი ნაკერში და ა.შ. მიზანაბიმი ობიექტი, რომელიც საკუთარ შინაგან სივრცეში მეორდება (მაგ., ლიტერატურაში ანდრე ჟიდი მიზანაბიმს თვითრეფლექსიურ ჩანანერგებს, ჩანართს უწოდებს: საკუთარი თავის საკუთარ თავში რეფლექსიას). ამით ორნამენტის თეორიაში შემოსაზღვრულობა, ერთი მხრივ, გარსშემორტყმულ სივრცეს ქმნის და, მეორე მხრივ, უსასრულოდ ვითარდება ერგონის შიდა სივრცეში (და, მიუხედავად იმისა, რომ პერიფერიული და ცენტრული თვისებები მჟღავნდება, ჟ. დერიდა ორნამენტის დეზიგნაციას თავს არიდებს).¹⁴

მიზანაბიმი ტექსტში განმეორების სახით ვლინდება, როდესაც იმეორებს ტექსტუალურ მთელს (ერგონს) საკუთარ თავში სახეხატების ან კონცეპტების მეშვეობით. მნიშვნელობის/ჩარჩოს ამგვარ რეფლექციას/გასარკვევებას, რომელიც უსასრულოდ ვითარდება არადეტერმინირებამდე, არასტაბილურობამდე მივყავართ – დეკონსტრუქციას აღწევს. მიზანაბიმი თვით ორნამენტის არსის (როგორც წესრიგის და სიმეტრიის დამყარებლის) თვითანიჭილიზაციას, აუტოდესტრუქციას უბრუნველყოფს. მიზანაბიმი, ერთი მხრივ, წყვილიადურ განვრცობას ასახავს, ხოლო მეორე მხრივ, თვით წყვილიადის „წიაღში“ ივრცობა, რაც წყვილიადის (აბიმის) ლოგიკას ზღუდავს. ამ კონტექსტში დერიდა ერთგვარ მოდერაციის, „წყვილიადის ეკონომიზაციის“ პრინციპზე მიაწინებს.¹⁵ მიზანაბიმი წყვილიადურ კოლაფსს წინააღმდეგობას უწევს და მიმების ეკონომიის რეკონსტიტუციას უბრუნველყოფს – ეკონომიზაციის“. „ეკონომიზაციის“, სათანადოსა და იგივეობრიობის კანონი, მუდამ საკუთარ თავს რეფორმირებს, მსგავსების საწინააღმდეგოდ, მაგრამ ანალოგიის მეშვეობით.¹⁶

დერიდას მიხედვით, მიზანაბიმი „ანადგურებს მთელის ნაწილთან არასტაბილურ მიმართებას, ინკლუსიური სტრუქტურების გადაუწყვეტლობას, რის

შედგადაც ხდება აბიმის სისტემაში შემოგდება“.¹⁷ ეს განაცხადი, რომელიც თავისთავად შეიძლება მთელის ნაწილად ვიგულისხმოთ, გომბრიხის პოპერისეულ მოდელს კრიტიკულ ინსაიტს სძენს – რისკის ქვეშ დაყენებული ჰიპოთეზის შედეგების წვდომისთვის ადეკვატური ინსტრუმენტების ჩამოყალიბების საშუალებას სთავაზობს.

ზემპერიანული მოჩარჩოების თემა მიზანაბიმის კონცეფციაში ღრმავდება და ყველაფერთან ერთად ორნამენტში მოცემულ ეთიკურ განზომილებასაც ხსნის. ორნამენტის ძირითად თვისებებთან ერთად, ასევე ზოგად კატეგორიად შეგვიძლია განვიხილოთ მიზანაბიმის ცნებაც.

ორნამენტი, სვეტის არქიტექტიპი და ძალაუფლება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიტყვა წესრიგი (order) ორნამენტის ეტიმოლოგიას აგებს, რომელიც ასევე გულისხმობს რანგს, ხაზს, სერიულ განლაგებას, პატერნს, ქსოვის დაწყებას, რუტინას, ბრძანებას, წესს, პოზიციას, ქონებას, რეგულაციას, რელიგიურ დისციპლინას. ანუ, ორნამენტი რაღაცა წესის რიგში მოყვანას, მის რანგის მიხედვით განლაგებას აღნიშნავს, რომელსაც სერიულობა და პატერნულობა ახასიათებს. წესი ბარიერს/მოჩარჩოებას, საზღვარს/შემოსაზღვრულობას ქმნის, კანონს აწესებს – და ეს წესი რიგში იდება (წესდება), სერიულად ვრცელდება. კოლონადური განვრცობაც ამ კონტექსტში იკითხება, რაც სვეტის არქიტექტიპთან დაკავშირებულ ძალაუფლების თემას ხსნის.

მაგ., აღნიშნული ორნამენტის თვისებები, როგორებიცაა წესი, ჩარჩო, რიგი, წესრიგი, რიტმი, ზომა და მეტრი, სერიულობა და პატერნულობა, ვლინდება ანტიკურ არქიტექტურაში, კერძოდ, კი ბერძნულ ორდერში. ანტიკურ ორდერებში მოქმედებს გარკვეული დადგენილი კანონები, რომლებიც წესრიგს

14 დერიდას მიხედვით, ჩარჩოს, ზღვარს, ბარიერს, უნარი აქვს ნებისმიერი შენასკვეული სტაბილურობა „მოადუნოს/მოუშვას“, რათა კონცეპტუალური წინააღმდეგობები დაშალოს. მისთვის პარერგონი ფუნდამენტალურია ერგონისთვის, რადგან მის გარეშე ის „საკუთარ თავს საკუთარი თავისგან ვერ განასხვავებს“. დერიდასთვის პარერგონი ერგონის „დანამატია“, რომელიც ცენტრულ/პერიფერიულის ფონზე ინვერსიას განიცდის და ნამუშევრის ბირთვად იქცევა.

15 იქვე, გვ 37.

16 იქვე, გვ 117-119.

17 იქვე, გვ 27.

ქმნის. ნებისმიერ ორდერს ახასიათებს რიტმულობა (სვეტებისა და სხვა ელემენტების რიტმული განმეორება), სერიულობა (ცალკეული მსგავსი ელემენტების გამოყენება), ზომა (ელემენტების პროპორციული ურთიერთშეთანხმებულობა) და ასევე ამ ორდერების სტრუქტურა იერარქიული პრინციპით იგება. ამდენად, ანტიკური არქიტექტურის სტრუქტურა ორნამენტის კატეგორიებით იგება. რომაულ არქიტექტურაში განსაკუთრებულად იკვეთება იერარქიულობის პრინციპი. ანთროპო-ტექნოლოგიური განვითარების ფონზე მასალის იმანენტური ლოგიკიდან გამომდინარე (პრაქტიკული ესთეტიკა), რომაული სვეტის/ბურჯის/კოლონის წარმოშობა სავარაუდოთ უკავშირდება ე.წ. ფასცებს, რომელიც წითელი ლენტით შეკონილი ღეროებისა და ნაჯახისაგან შედგებოდა და ეტრუსკულ-რომაულ კულტურაში ძალაუფლების სიმბოლოს წარმოადგენდა.¹⁸

ფასცები უძველეს რომში უმაღლესი მაგისტრატუსების, კონსულების, პრეტორების და დიქტატორების ძალაუფლების გამოყენებით აღსრულების სიმბოლოს წარმოადგენდა (რომაული სამართლის სიდიადეს). ფასცებს ატარებდნენ ლიქტორები, როდესაც უძღვებოდნენ მათ.¹⁹ ფასცებში თუ მოთავსებული იყო ნაჯახი (ზოგჯერ ორი ნაჯახი) ნიშნავდა, რომ დამნაშავეს დასჯის უფლება ჰქონდა მაგისტრატუსს.

ამ კუთხით აბსოლუტურ ძალაუფლებას მხოლოდ დიქტატორი ფლობდა. ფასცებთან დაკავშირებული ნაჯახი ასოცირდება ბერძნულ ლაბრისთან (λαβρίς, lábrys), რომელიც კრეტული წარმოშობის ორმხრივი/ორფრთიანი ნაჯახი და ბერძნული ცივილიზაციის უძველესი სიმბოლო.²⁰

რომაელები ამ ნაჯახს ბიპენისს (bipennis ორფრთიანს) უწოდებდნენ. სიტყვა ლაბრისი სავარაუდოდ სიტყვა ლაბირინთს უკავშირდება, რომლის წარმოშობაც ასევე სადავოა.²¹ ორივე სიტყვა არა-ბერძნული წარმოშობისაა, რომელთა აღმოცენების შესაძლო წყაროს კრეტაზე არსებულ ცივილიზაციას უკავშირებენ.²² წითელი ლენტის გარკვეულწილად ასოციაციას იწვევს „არიადნეს გორგალთან“ და ე.წ. „არიადნეს ლოგიკასთან“ (ძაფი ამ კონტექსტშიც მეტაფორულად ფიქრის სტრუქტურასთანაა გაიგივებული), რომელიც ინტუიციურ, პროფეტულ ლოგიკას უკავშირდება. არიადნეს ძოწისფერი ძაფის მეშვეობით ბერძნული მითის გმირს თეზევსს საშუალება ეძლევა თავი დააღწიოს დედალუსის მიერ აგებულ ლაბირინთს“. ოღონდ კრეტული ლაბირინთი ფრაგმენტული ფორმაა, „რომელიც სპირალურად მოძრაობს და ეს მოძრაობა მრავალმხრივია: „შინაგანი“ ხელდასმის გზა, როგორცაა ლაბირინთი, რომელიც უნდა გაიაროს ადამიანმა ინიციაციისათვის და „გარეგანი“ გზა, რო-

18 Schäfer, Imperii, 1989, გვ. 196 - 232.

19 ფასცები პორტაბელურ სასჯელ საშუალებას განასახიერებდნენ (ღეროებს საცემა, ხოლო ნაჯახს თავის მოსაკვეთად იყენებდნენ).

20 უძველეს კრეტაზე ორმაგი ნაჯახი არასდროს წარმოადგენდა იარაღს, ის საკრალურ სიმბოლოდ აღიქმებოდა, რომელიც მხოლოდ ქალღმერთებს ახლდათ (მამრობით ღვთაებებს არასდროს ეჭირათ ლაბრისი). როგორც ჩანს, ლაბრისი შესაქმნის (creation) გენეზისის სიმბოლოს (Mater-arche) აღნიშნავდა. ამ გადმოსახედიტ, უძველესი კრეტული სიმბოლო შემქმნელ და დამბადებელ დედასთან იწვევს ასოციაციას და რომაული ორდერებისგან განსხვავებულ ერთგვარ დედაბოძისეულ განწყობას გვიქმნის (რომელიც საკრალური სივრცის ფუნდამენტური ელემენტია). Schachermeyr, Minoische, 1964, p. 161. რომაელები ფასცის ღეროებს ვირგო/ვირგას ანუ ქალწულს უწოდებდნენ. ლათინური სიტყვა ქალწული Virgo სწორედაც კვერთხს, ღეროს, ტოტს ან ყლორტს ნიშნავს (მაგ., ვირგატე ძველ ინგლისურში სიგრძის საზომს ნიშნავს). ქალწულის ზოდიაქოს ყოველთვის ღერო ეჭირა მარჯვენა ხელში და ხორბლის ყური მარცხენაში. ღეროების შეკრულობა, რომლითაც ფასცები (Fasces) იგება, ვესტას ქალწულებს განასახიერებენ, რომლებიც ადამიანის ღმერთთან, ღვთაებრივ კანონთან (ფას Fas) შეკვრას უზრუნველყოფენ. ამიტომაც რომში ქალთა შორის მხოლოდ ვესტას ქურუმებს შეეძლოთ ფასცების ტარება, რადგან თვით ფასცებს აღნიშნავდნენ. ვესტა კერიის და საცხოვრებელი სახლის, ნაყოფიერების, ოჯახის ქალღმერთს განასახიერებს, რომის საკრალური კერიის მფარველს. ვესტები რომაული ოჯახის სიწმინდეს სიმბოლიზირებდნენ. სწორედაც ვესტას ქალწულები იწარჩუნებდნენ ტაძარში მარადიულ ცეცხლს. ოვიდისთვის ვესტა სწორედაც „ძალაუფლებასთან მდგომს“ ნიშნავს. Klein, Dictionary, 1966.

21 რაც ამართლებს თეორიას, რომ მინოსის სამეფო სასახლე კრეტაზე თავდაპირველად ლაბირინთი იყო და აქედან გამომდინარე – ორმაგი ნაჯახის სასახლე.

22 Pötscher, Aspekte, 1990, გვ. 52-6; Hornblower, Dictionary, 2012, გვ. 788; Babbitt, Plutarch, Quaest. Graec. 45 301f - 302a, გვ. 25; Heubeck, Praegraeca, 1966. გვ. 25.

მელიც ლოგიკურ ათვლის წერტილებს ექვემდებარება (მზის მოძრაობის დაფიქსირება, რუკების, გრიდების მეშვეობით სამყაროში გეომეტრიული წესრიგის დამყარება და ა.შ.). შეიძლება ითქვას, არიადნეს ძოწისფერ ძაფს ფიქრი (აზროვნება) საკუთარ ლაბირინთში შეჰყავს²³ და თუ არიადნეს ლოგიკა ინტუიციურ (არადეტერმინირებულ), შინაგანისკენ მიმავალ გზას აღნიშნავს, მაშინ ფასცის ფორმა უფრო „გარეგანი გზის“ ლოგიკაზე მიანიშნებს. წითელი ლენტი ფასცების ხის სხივებს გარს ერტყმის, მათ ფასადურ შეკონვას უზრუნველყოფს. მასში შენასკვულია „ღეროთა“ ჯგუფი, ანუ ინდივიდუალური ერთეულები ჩაკეტილ, მოჩარჩოებულ ცილინდრულ სიმრგვალებში, ერთ სვეტად, ერთ „კოლონად“ იკვრებიან (თვით მოჩარჩოებას ქმნიან/განასახიერებენ). კლასიკური კოლონა/სვეტის ვერტიკალურად სტრუქტურირებული კანელურა, ანუ პილასტრის ტანზე ამოღებული ღარაკები ამ სხივებივით გვევლინებიან. ფასცების ფონზე მოჩარჩოების და წესრიგის თემა აქტუალურია, რადგან ჩაკეტილი, ერთგვაროვანი, რიტმულად და ერთ დონეზე სიმეტრიულად ერეგირებული ინდივიდუალური ძელები ერთხმოდ შეკრულ ევალიტარიანულ სოციუმს ქმნიან – ფორმის ანალიზის თვალსაზრისით, რაოდენობრივად გაანგარიშებულ, თავის თავში დასრულებულ, შემოსაზღვრულ, ნათლად გამოვლენილ ერთეულთა ერთობას (მრავალნაწევრა ერთობას), რომლებიც თავშეყრის წერტილის გარშემო კონცენტრულად იკვრებიან.²⁴

სვეტის არქეტიპი, რომელიც ჩარჩოს, წესრიგს

ქმნის, ორნამენტის ფუნდამენტურ კატეგორიას კორელირებს, რომლის ბუნებაც მის ძალის ველში იხსნება.

ორნამენტის ფუნდამენტური კატეგორიის – მოჩარჩოების (Enclosure, Gehege) ფონზე მკაფიოდ ვლინდება ფორმის ანალიზის მეთოდში გაწერილი ცნებების (კერძოდ ჰ. ვიოლფლინის პრეცეპტები) კონცეპტუალური „ამეტყველება“. ფორმის ანალიზში ხაზობრივისა და ლაქობრივ-ცხოველხატულის პოლარობა შემოსაზღვრულობა – შემოუსაზღვრულობის პრინციპიდან იგება, რომლებიც გამოსახულის სქემატურ ბაზას განსაზღვრავენ. ხელოვნების ნიმუშის ორნამენტის კატეგორიების ტრილში გაანალიზება ამ სქემატურ ფორმებს საზრისს ანიჭებს და ბუნებით სიუჟეტსა (ფორმის ანალიზი) და პირობით სიუჟეტს შორის (იკონოგრაფია) დამაკავშირებელ მნიშვნელოვან სამეცნიერო საშუალებას იძლევა.

ორნამენტის კატეგორიები უნივერსალურია, ყველა ეპოქაში ხელოვნების ნებისმიერ დარგში მოქმედებს და გარკვეულწილად ასახავს ხელოვანის, საზოგადოების, ეპოქის ძალაუფლებისადმი დამოკიდებულებას, რაც კარგად ჩანს მოდერნული და თანამედროვე ხელოვნების ნიმუშების ანალიზის შედეგადაც მაგ., პეტრე ოცხელის, დავით კაკაბაძის, პ. მოენიგის ნამუშევრების ანალიზმა ცხადყო ორნამენტის პრინციპებისა და კატეგორიების გამოყენება და წარმოაჩინა მათი დამოკიდებულება ძალაუფლების თემისადმი. მიუხედავად ამისა, რეგლამენტის გამო ჩვენი მოხსენება თეორიული ნაწილით შემოიფარგლება.

23 ბაღდავაძე, მეტათეორია, 2022, გვ. 312.

24 ქართული სიტყვა და-ნართი გულისხმობს ნართს, როგორც ერგონს და ეს შემთხვევითი არ არის. არიადნეს ძოწისფერი გორგალის ფონზე, ნართი, ძაფი, ფიქრის უძველეს მეტაფორად გვევლინება, თუნდაც ინგლისური ხალხური გამოთქმა „ნართი დაახვიე“ (Spin the Yarn), რაც ისტორიის მოყოლას, კონტექსტის შექმნას ნიშნავდა (ასევე შეიძლება გავიხსენოთ სკანდინავიური ნორნები, ბერძნული მოირები, რომლებიც ბედისწერის სკრაიბები არიან – „ბედს“ „წერენ“). ნართის დამხვევი (ინგ. Spinner) ტემპარიტ მთხრობელად, პოეტად ითვლებოდა, რომელიც ქსოვდა ისტორიას. სპინერები ხშირად ქალები იყვნენ. აქედან მოდის სიტყვა „სპინსტერი“, რაც გაუთხოვარს ნიშნავს (ანუ მთხრობელი, პოეტი, მოაზროვნე ქალი საბოლოოდ დისკრიმინირებული ხდება). სკრაიბი სწორედაც აუდიო აბსტრაქციას ქმნის, სემიოტიკურ აღმნიშვნელს, და ამ უძველეს ფორმას ვიზუალურ ფაქტად აქცევს. დროთა განმავლობაში, დიდი პრაქტიკის შედეგად, ნამუშევრებმა ისეთი თანაბარი, მოქნილი ტექსტურა მიიღეს, რომ დაწერილი გვერდი „ტექსტუსი“ (textus) უწოდეს, რაც ნაჭერს ნიშნავს. სიტყვა ტექსტი ლათინური სიტყვა textus-იდან მოდის, რაც ნაშრომის სტილს ან ტექსტურას აღნიშნავს, პირდაპირი მნიშვნელობით კი – „ნაქსოვს“. მისი პროტო ინდო/ევროპული ფესვი *teks-შია, რაც ნიშნავს ქსოვას, შექმნას, წნულის გაკეთებას, მაგ., ვატლის ტოტებით დაწნულ მოჩარჩოებას (რომლითაც იგებოდა უძველესი პანელები, კედლები, ღობეები). ქართული სიტყვა ნართი, რომლისგანაც იგება სიტყვა და-ნართი (რაც ორნამენტს, პარერგონს აღნიშნავს) უფრო აღრმავებს ჩვენი კვლევის პრემისს. Bringham, Elements, 1992. Online Etymology Dictionary

ორნამენტი, პირველყოვლისა ფასეულობების/ ღირებულებათა კომუნიკაციის ნიშანია (ა. შმარზოვი), რომელიც ერთობლივად ორგანულ კავშირს ძერწავს ძირითადი ნაშრომის სექმატურ ბაზასთან და მის პე-

რიფერიასთან. თვით სქემას არ წარმოადგენს, მაგრამ სქემატურ ფორმებს საზრისს ანიჭებს. აქედან გამომდინარე, ორნამენტის კატეგორიები მნიშვნელოვან სამეცნიერო ინსტრუმენტს წარმოადგენს.²⁵

გამოყენებული ლიტერატურა:

- Babbitt Frank Cole, Plutarch's Moralia IV. The Loeb Classical Library, 1936.
- Barnhart Robert K., Steinmetz Sol, The Barnhart Dictionary of Etymology, Bronx, New York, 1988.
- Barth Roland, The Fashion System, New York, 1983.
- Bericht aus Bonn Die Tempelanlagen (ტაძრის მსახურთა კონვენიალობა). Ausgrabungen von Peter Mönnig. Eine Publikation des Landschaftsverbandes Rheinland/ LVR-LandesMuseum Bonn.
- Bringhurst Robert, The Elements of Typographic Style, Canada, 1992.
- Butz Patricia A., Inscription as Ornament in Greek Architecture, In Structure, Image, Ornament: Architectural Sculpture in the Greek World, Oxford, 2009.
- Derrida Jacques, The Truth in Painting (Parergon), Chicago and London, 1987.
- Ringe Don, From Proto-Indo-European to Proto-Germanic, Oxford, 2006.
- Franco Rendich, Comparative etymological Dictionary of classical Indo-European languages: Indo-European - Sanskrit - Greek - Latin, Create Space Independent Publishing Platform, 2014.
- Gleiter Jörg H., "Ornament: The battleground of theory", in Ornament, Return of the repressed, Zona, #4, 8, 2009.
- Gombrich Ernst, The Sense of Order: A Study in the Psychology of Decorative Art, Ithaca, New York, 1979.
- Heathcote Edwin, The Problem with Ornament, Architectural Review Journal, 3 September 2015.
- Heubeck Alfred, Praegraeca, Universitätsbund Erlangen, 1966.
- Hornblower Simon, The Oxford Classical Dictionary, Oxford, 2012.
- Kant Immanuel, Die Religion innerhalb der Grenzen der bloßen Vernunft [1793], Harvard, 1838.
- Kant Immanuel, Kritik der Urteilskraft, Leipzig, 1922.
- Klein Ernest, Comprehensive Etymological Dictionary of the English Language, Amsterdam, London, New York, 1966.
- Osborne Peter, Anywhere or Not at All: Philosophy of Contemporary Art, London, 2013.
- Payne Alina, Ornament to Object: Genealogies of Architectural Modernity, New Haven, CT., 2012.
- Perkins David, Gombrich: The Sense of Order: A Study in the Psychology of Decorative Art, 6 (1), 1980. Retrieved from <https://repository.upenn.edu/svc/vol6/iss1/10>
- Pötscher Walter, Aspekte und Probleme der minoischen Religion: Ein Versuch, Hildesheim, Zürich and New York, 1990.

25 „ორნამენტი თავისთავად სრულყოფილია, თავის თავში დასრულებული, ამავე დროს მრავალმხრივი კონცეპტუალური და მატერიალური განვრცობა ახასიათებს. ის ერთდროულად ესთეტიკური და კონცეპტუალურია, მატერიალური და თეორიული, პარტიკულარული და ზოგადი. ერთი შეხედვით თითქოს კულტურული და გეოგრაფიული კონტექსტიდან გარიყული გვევლინება და ამავე დროს უშუალოდ ასახავს გარემოებრივ გეოლოგიას.“ გ. ზემპერისთვის თუ ორნამენტი სამყაროს ბუნებრივი პრინციპების გამხსნელ მოდელს წარმოადგენს, მაშინ ა. რიგლი ორნამენტს ხელოვნების ფუნდამენტური ცნებების განმსაზღვრელ საშუალებად განიხილავს. როგორც ცნობილია ხელოვნების ისტორიაში სამეცნიერო მეთოდის აღმოცენებაში ა. რიგლს მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი. Riegl, Stilfragen, 1893; Payne, Ornament, 2012.

- Riegl Alois, *Stilfragen: Grundlegungen zu einer Geschichte der Ornamentik*, Berlin, 1893.
- Schäfer Thomas, *Imperii insignia: Sella curulis und Fasces*, Mainz, 1989.
- Schachermeyr Fritz, *Die minoische Kultur des alten Kreta*. Stuttgart, 1964.
- Semper Gottfried, *Über Baustile: Ein Vortrag gehalten auf dem Rathhaus in Zürich am 4. März 1869*, *Wissenschaft, Industrie und Kunst und andere Schriften über Architektur, Kunsthandwerk und Kunstunterricht*, Mainz & Berlin 1966.
- Semper Gottfried, *Der Stil in den technischen und tektonischen Künsten oder praktische Ästhetik: ein Handbuch für Techniker, Künstler und Kunstfreunde*. 1, *Die textile Kunst, für sich betrachtet und in Beziehung zur Baukunst*, München, 1878.
- Semper Gottfried, *The Four Elements of Architecture and Other Writings*, Cambridge, 1989.
- Vandi Loretta, (ed.) *Ornament and European Modernism: From Art Practice to Art History*, New York and London, 2018.
- Weekley Ernest, *An Etymological Dictionary of Modern English*, New York, 1967.
- Online Etymology Dictionary, <https://www.etymonline.com>
- King James Bible, <https://www.kingjamesbibleonline.org>
- ბაღდავაძე ე., კვლევის სახელოვნებათმცოდნეო მეთოდის – ფორმის ანალიზის – მეტათეორია და პრაქტიკა, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2022.

THE CATEGORIES OF ORNAMENT AND CONCEPT OF POWER

Ekaterine Bagdavadze

Keywords: *Ornament Theory, Gottfried Semper, Practical Aesthetics, Theory of Architecture, Enclosure, Ernst Gombrich, The Sence of Order, Jacques Derrida, Mise-en-abyme, Economimesis, Parergon, Immanuel Kant, Philosophy of Art History, Metatheory of Art Historical Methods*

This presentation aims to consider, within the context of ornament theory, how attitudes towards power are expressed in works of art from different eras.

The theoretical part of the study isolates the categories of ornament based on the ornament theories of Gottfried Semper, Ernst Gombrich, and Jacques Derrida. The study aims to consider the possibility of their applicability for analysing concrete artworks.

The categories of ornament are relevant in every period and all areas of art and somewhat reflective of the artist's and society's, as well as the epoch's relation to power. The analysis of several modern and contemporary artworks for this research (Davit Kakabadze, Petre Otskheli, and Peter Moennig, among others) confirms the applicability of the categories of ornament. Regardless, due to the conference regulations, the presentation will mainly focus on the theoretical part of the study, considering the categories of ornament with respect to the concept of power and as a possible means of deconstructing power.

When the question of ornament arises in culture, it is by no means accidental. In fact, according to most recent studies in ornament theory, it is a direct indication of a fundamental structural change, crisis and major upheaval in culture. The recurring interest in ornament in recent years contextually links the origins of ornament theory in the 19th century to the modernist paradigm. "Modernism hones its conceptual orientation on ornament", and within this changing cultural "force field", its reconceptualization occurs. Indeed, in times of such radical cultural change, the question of ornament resurfaces. The crisis of ornament and the expression of a consciousness of the crisis of an epoch represent the simultaneity of its constituent characteristics. Ornament, as the indicator of a fundamental cultural change, is intrinsically tied to the power structures that determine the cultural context.¹

This research aims to consider within the context of ornament theory how attitudes towards power are expressed in works of art from different eras, particularly in contemporary art, and it does so by transforming the

characteristics of ornament specified in ornament theory into scientific tools, categories of ornament. These instrumental precepts are then applied for the analysis of artworks. Indeed, the categories of ornament are universal and reflective of the artist's relation to power.

Gottfried Semper's Ornament Theory: The Immanent Logic of Matter

What is ornament? According to architecture and design critic of The Financial Times, Edwin Heathcote, "Ornament is the language through which architecture communicates with a broader public".² Nonetheless, this research attempts to demonstrate that ornament is the language through which any creative form communicates with a broader public since the properties and categories of ornament originate in the process of their creation. Indeed, it is in creativity's ornamental trace that we find something foundational. By identifying the properties and categories within the process of ornament creation, we can locate them in any artefact regardless of the field (in-

1 Gleiter, Ornament, 2009, p. 14.

2 Heathcote, Architectural Review, 2015.

cluding painting and even transmedia art).

